საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი თებერვალი 2023 / გამოცემა #66

ქართული ოცნების Grand Finale - წინ კონსოლიდირებული ავტორიტარიზმისკენ

თეონა ზურაბაშვილი [1]

მიმდინარე მოვლენების ფონზე, ბოლო პერიოდში ქვეყანაში საზოგადოებრივი დისკუსია მთლიანად მოიცვა ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტმა, რომელიც საქართველოს პარლამენტში მმართველი პარტიის სატელიტმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, *ხალხის ძალამ* დააინიცირა. კანონპროექტი ითვალისწინებს ,,უცხოური გავლენის აგენტთა" რეესტრის შექმნას და მასში ყველა იმ ორგანიზაციის[2] დარეგისტრირებას, რომელთა შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოურ დაფინანსებას უკავშირდება (Civil.ge 2023ა). საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, შემოთავაზებული პროექტი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და შიდა ეროვნული დაცვის სტანდარტებს და მისი განხილვაც კი შეუთავსებელია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად პრინციპებთან (Publika.ge 2023ა). კანონპროექტი საქართველოს ევროპული კურსისგან რადიკალურ გადახვევად და ქვეყნის სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის უდიდეს რეპუტაციულ ზიანად მიიჩნიეს როგორც საერთაშორისო პარტნიორებმა (Jam-news.net 2023ა, Jam-news.net. 2023ბ, Tabula.ge 2023ა), ასევე ადგილობრივმა და უცხოელმა ექსპერტებმა (საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება 2023, GIP 2023).

[1] პოლიტიკის უმცროსი ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

[2] *გამონაკლისი ეხება მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებს, საქართველოს „კანონმდებლობით დაფუძნებული სპორტული ფედერაციები და ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სისხლის დაწესებულებას (Civil.ge 2023ა).*

კანონპროექტის მიმართ მკვეთრად ნეგატიური შეფასებების მიუხედავად, *ხალხის ძალის* და *ქართული ოცნების* მყარი პოზიციით, აღნიშნული კანონპროექტი საუკეთესო დასავლურ გამოცდილებას ეყრდნობა (Tabula.ge 2023ბ, Publika.ge 2023ბ, 1TV.ge 2023ა) და ის მხოლოდ სამოქალაქო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას ემსახურება. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მოცემულ პოლიტიკის მემორანდუმში შემოთავაზებულია დემოკრატიულ სახელმწიფოებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ უცხოურ დაფინანსებაზე არსებული რეგულაციებისა და ხალხის ძალის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შედარებითი ანალიზი. აღნიშნულ დისკუსიაზე დაყრდნობით კი, მემორანდუმში ნაჩვენებია ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტსა და დასავლურ პრაქტიკას შორის არსებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი და კონტექსტური განსხვავებები. ამას გარდა, მემორანდუმში გაანალიზებულია კანონპროექტის ინიციირების რეალური მოტივები და საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის მისი შესაძლო შედეგები.

აშშ-ის კანონი ,,უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ": რა განასხვავებს მას საქართველოს პარლამენტში ინიციირებული კანონპროექტისგან ?

იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო პარტნიორები ქართულ ოცნებას კანონპროექტის განხილვისგან თავის შეკავების რეკომენდაციას აძლევენ (On.ge 2023, Civil.ge 2023ბ), პოლიტიკური მოძრაობა *ხალხის ხმის* წარმომადგენელთა განცხადებით, კანონპროექტი აშშ-ის კანონის, ,,უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ" (FARA), ბევრად ლიბერალური ვერსიაა და არ გულისხმობს არასამთავრობო ორგანიზაციათა შეზღუდვის არადემოკრატიულ მექანიზმებს (1TV.ge.2023ბ). ამ საკითხთან დაკავშირებით, პარტია *ქართული ოცნების* მიდგომაც *ხალხის ძალის* პოზიციასთან თანხვედრაშია - იმ არგუმენტით, რომ კანონპროექტი საუკეთესო დასავლურ პრაქტიკას ეყრდნობა, *ქართული ოცნების* სპიკერებს მისი განხილვა სრულიად მიზანშეწონილად მიაჩნიათ (Netgazeti.ge 2023ა). თუმცა, აღნიშნული რიტორიკის მიუხედავად, აშშ-ის კანონის (FARA) და სხვა ,,დასავლური პრაქტიკის" საქართველოს პარლამენტში ინიციირებულ კანონპროექტთან შედარება მნიშვნელოვან ფაქტობრივ და კონტექსტურ სხვაობას აჩვენებს.

- ***ამერიკის შეერთებული შტატების კანონი „უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ (FARA) მიზნობრივად არ მიემართება არასამთავრობო ორგანიზაციებს,*** **არამედ გარკვეულ რეგულაციებში აქცევს ლობისტურ და საკონსულტაციო საქმიანობას.** კერძოდ კი, უცხოურ აგენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელთა უცხოური გავლენის მქონე სუბიექტთან[3] სამსახური მოიცავს პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ საქმეთა კონსულტანტობას (იმ შემთხვევაში, თუ ეს გულისხმობს პოლიტიკაში ჩართულობასაც), ან უცხოური გავლენის მქონე სუბიექტების წარმომადგენლობას აშშ-ის ოფიციალური ორგანოების წინაშე (Congressional Research Service 2017). FARA-ს მიხედვით, უცხოური აგენტები ვალდებულნი არიან სახელმწიფოს მიაწოდონ დაფინანსების წყაროს, დაფინანსების მიზნობრიობის და განხორციელებული მომსახურების შესახებ ინფორმაცია. სწორედ ლობისტური საქმიანობის დაზუსტებას ეხებოდა ის ცვლილებები, რომლებიც FARA-ში რამდენჯერმე შევიდა (Congressional Research Service 2017). ხოლო, FARA-ს რეგულაციების დარღვევისთვის მიმართული აღსრულების მექანიზმებიც, ძირითადად, ლობისტური საქმიანობით დაკავებულ ინდივიდებს ეხებათ (Justice.gov 2023ა). თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ FARA საკმაოდ მოძველებული კანონია და მასში ფუნდამენტური ცვლილებები დიდი ხანია არ განხორციელებულა, ტერმინების დაუზუსტებლობის გამო, ის გარკვეულ ბუნდოვანებასაც იწვევს იმასთან დაკავშირებით, მისით განსაზღვრული რეგულაციები ფარავს თუ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც (Federal Register 2023). ამასთან დაკავშირებით, არაკომერციული კანონმდებლობის საერთაშორისო ჟურნალს (The International Journal of Not for Profit Law), გამოქვეყნებულიც აქვს სპეციალური განმარტება, რომლის მიხედვითაც FARA არ ითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციების დარეგისტრირებას „უცხოური აგენტად“ და რეგისტრაციის შესახებ მოთხოვნა ეხება მხოლოდ იმ ინდივიდებს/ორგანიზაციებს, რომლებიც შეესაბამებიან „უცხოური აგენტის“ კრიტერიუმებს (Laufer 2017). სწორედ კანონის ბუნდოვანების გამო, აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსის მიხედვით, აუცილებელია FARA-ს

[3] *FARA-ს მიხედვით უცხოური გავლენის მქონე სუბიექტებად კვალიფიცირდებიან:*
- *უცხოური სახელმწიფო*
- *უცხოური პოლიტკური პარტია*
- *პიროვნება, რომელიც არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე*
- *იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე.*

მოდერნიზება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უკვე ოფიციალურად შეყვანა კანონით განსაზღვრულ გამონაკლისებში (Wanko 2019).

აშშ-ის კანონთან შედარებით, საქართველოს პარლამენტში ინიციირებული კანონპროექტი ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ" მიზნობრივად მიემართება სამოქალაქო სექტორს და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ფარავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აბსოლუტურ უმრავლესობას და მედიას. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, უცხოური გავლენის აგენტი არის ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად; ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას; ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტ დომეინს და რომელთა წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური ძალაა (Civil.ge 2023ა). ამ შემთხვევაში, აღნიშნულ კანონებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებას მიზნობრიობა წარმოადგენს. ლობისტური ან საკონსულტაციო საქმიანობა თავის თავში გულისხმობს უცხოური გავლენის მქონე სუბიექტის კერძო ინტერესების მომსახურებას, ეს კი შეიძლება იყოს აშშ-ის წარმომადგენლობით ორგანოებში უცხო სახელმწიფოს/კომპანიისთვის საგადასახადო შეღავათის მიღწევა. ამ მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგი კერძო ინტერესების მქონე სუბიექტებისთვის ექსკლუზიურ სარგებელს გამორიცხავს და დემოკრატიული პრინციპების გაძლიერების მეშვეობით უნივერსალურ კეთილდღეობას ემსახურება.

- ***ამერიკის შეერთებული შტატების კანონი ,,უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ" (FARA) შემუშავებულია ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.*** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კანონი "უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ" 1938 წელს მიიღო და მისი ინიციირების მიზეზს აშშ-ში მზარდი ნაცისტური პროპაგანდა წარმოადგენდა. კონგრესის ჩანაწერების მიხედვით, აუცილებელი იყო, ამერიკელ ხალხს სცოდნოდა სიმართლე, კონკრეტული გაერთიანებებისა და მათი პროპაგანდისტული გზავნილების უკან მდგომი ინტერესების შესახებ (House of Representatives 1937). ცივი ომის შემდეგ, FARA-მ აქტუალობა მნიშვნელოვნად დაკარგა, თუმცა, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის შემდეგ მისი აქტიურად გამოყენება დღის წესრიგში კვლავ დადგა (Congressional Research Service

2017). შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული აღსრულების მექანიზმების შესახებ ინფორმაციაც მხოლოდ 2017 წლიდან არის ხელმისაწვდომი და იმ ლობისტების უკან, ვინც დაჯარიმდა ან პატიმრობა შეეფარდა, იკვეთება სხვადასხვა სახელმწიფოს, მათ შორის, შრი ლანკის, მალაიზიის და რუსეთის ინტერესები (Justice.gov 2023ა). მნიშვნელოვანია, რომ FARA უცხოური გავლენის მქონე სუბიექტად კვალიფიკაციისთვის უშვებს გამონაკლისსაც. კერძოდ კი, გამონაკლისი ეხება იმ უცხოურ მთავრობას, რომლის თავდაცვაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აშშ-ის თავდაცვისთვის (Justice.gov 2023ბ). გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი (Justice.gov 2023ბ).

ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ***საქართველოში „უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ინიციირების მიზეზი ცალსახად არ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს.*** კანონპროექტის ინიციირებამდე, *ხალხის ხმის* მხრიდან კულტივირებული ძირითადი ნარატივის მიხედვით, საქართველოს სუვერენიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რუსულ აგენტურასთან ერთად, ამერიკული აგენტურის არსებობაა. ამ მოსაზრებით, ამერიკის საელჩო თავის აგენტურას პოლარიზაციისთვის, ხალხის ნების წინააღმდეგ ხელისუფლების შეცვლისა და მეორე ფრონტის გახსნის მცდელობისთვის იყენებს და პარტნიორი სახელმწიფოს აგენტობა ზუსტად ისევე დამაზიანებელია ქვეყნისთვის, როგორც რუსეთის აგენტობა (AdjaraTV.ge 2023). აღნიშნული პოლიტიკური მოძრაობის განცხადებით, „საქართველოს სუვერენიტეტისთვის ბუნებრივ საფრთხეს ქმნის ამერიკელების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება“, ამიტომ, მათი მოსაზრებით, ეს დაფინანსება „მკაცრ საკანონმდებლო ჩარჩოებში უნდა მოექცეს“ (რადიო თავისუფლება 2022).

ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოს ეგზისტენციალური საფრთხე რუსეთის ფედერაციიდან ემუქრება, ხოლო, *ხალხის ძალის* თავდასხმის ობიექტი, ამერიკის შეერთებული შტატები, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო სექტორს, ორ ათწლეულზე მეტია, ქვეყანაში არსებული მმართველი ძალის განურჩევლად, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის მიზნით აფინანსებს. აღნიშნულ ფაქტორებს კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის, რომლის უზრუნველყოფაც საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს კონსტიტუციით ევალებათ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1995). იმის გათვალისწინებით, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირების (არასამთავრობო ორგანიზაციების)ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი

საქართველოს შემოსავლების სამსახურს უკვე დადგენილი აქვს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2018), ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დასავლური დონორებისა და მათ მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაცია ღია აქვთ. ამ მხრივ კი, მხოლოდ რუსეთის დაფინანსებული ანტი-დასავლური, ანტი-ლიბერალური და ჰომოფობიური ორგანიზაციებია გამონაკლისი, რომელთა ფინანსური წყაროების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის (DemoracyResearch.org 2022, Estonian Foreign Intelligence Service 2020.). ხალხის ხმის ოფიციალური არგუმენტების გათვალისწინებით, კანონპროექტი ერთ სიბრტყეზე აყენებს საქართველოში რუსულ და ამერიკულ გავლენებს და ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის მთავარ ეროვნულ ინტერესს, პროდასავლურ საგარეოპოლიტიკურ კურსს. თუმცა, რეალობაში, როგორც ჩანს გამონაკლისი იქნება რუსეთის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციები: აღნიშნულზე მეტყველებს, პრო-რუსული ტელევიზია ალტ-ინფოს დამფუძნებლის განცხადება, რომლის მიხედვითაც, [უცხოური დამფინანსებელი] მათ არ ჰყავთ და შესაბამისად, მათ არ მოუწევთ უცხოეთის აგენტად დარეგისტრირება (Netgazeti.ge 2023ბ).

შესაბამისად, კანონპროექტი ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ არათუ ხელს უწყობს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, არამედ მიმართულია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისა და იმ ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც საქართველოში დასავლური ფასეულობების გავრცელებაში შეაქვთ წვლილი. ეს კი, პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესს.

,,საუკეთესო პრაქტიკა“: რა განასხვავებს მათ საქართველოსგან?

საქართველოს პარლამენტში ინიციირებულ კანონპროექტთან დაკავშირებული მკვეთრად ნეგატიური შეფასებების პარალელურად, მმართველი პარტიის მხრიდან გააქტიურდა ხაზგასმა იმ ფაქტორზე, რომ კანონპროექტი სრულიად თავსებადია დემოკრატიასთან (1TV.ge 2023ბ). ამავდროულად, საქართველოში კანონპროექტის აუცილებლობის გასამართლებლად, პრო-სამთავრობო ტელევიზიის საშუალებით იმატა იმ კონკრეტული ქვეყნების დასახელებამ, სადაც, სპიკერთა განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობის გამჭვირვალობა უცხოური დაფინანსების შემთხვევაში რეგულირდება (Imedinews.ge 2023ა, Imedinews.ge 2023ბ).

ამ შემთხვევაში კი, დასავლური პრაქტიკა, რომელზეც მმართველი პარტია და მისი მხარდამჭერები აპელირებენ თანხვედრაში არ მოდის საქართველოში ინიციირებულ კანონპროექტთან. კერძოდ, ***ევროკავშირი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის რეგულაციებს ეწინააღმდეგება, რამდენადაც ამგვარი რეგულაციები სამოქალაქო სივრცეს ზღუდავენ*** (European Parliament 2023.) ამ მხრივ, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ერთადერთ გამონაკლისად ითვლება უნგრეთი, რომელმაც 2017 წელს მიიღო კანონი საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების შესახებ (Peace Research Institute Frankfurt 2019). თუმცა, ამ შემთხვევაში, ევროკომისიამ საქმე ევროპულ სასამართლოს გადასცა (European Commission 2017), რომელმაც ევროკავშირის პრინციპების დარღვევისთვის უნგრეთს დისციპლინური ზომები დააკისრა (Court of Justice of the European Union 2020); ხოლო, 2022 წლის სექტემბერში ევროპარლამენტარებმა განაცხადეს, რომ უნგრეთი აღარ მიიჩნევა „სრულად დემოკრატიულ ქვეყნად“ (European Parliament 2022). ამასთან, ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის გამო, უნგრეთს სამოქალაქო თავისუფლების მიმართულებით შესამჩნევად დაბალი მაჩვენებელი აქვს (Freedom House 2021). შესაბამისად, უნგრეთის შემთხვევა საქართველოსთვის ,,საუკეთესო პრაქტიკად“ არ შეიძლება ჩაითვალოს. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებში კი, კონკრეტული კანონები, რომლებიც უცხოეთიდან დაფინანსების მიღებას ზღუდავს ან გარკვეული ფორმით არეგულირებს, ეხება მხოლოდ საარჩევნო სუბიექტებს, ლობისტურ საქმიანობას ან რელიგიურ ორგანიზაციებს (European Parliament 2023). ამავდროულად, არც ერთი ეს კანონი არ ცნობს ცნებებს ,,უცხოური აგენტი“ ან ,,უცხოური გავლენის აგენტი“ (European Parliament 2023).

ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც საქართველოში ინიციირებული კანონპროექტის გასამართლებლად პრო-სამთავრობო ტელეარხის ეთერში სახელდება, ისრაელია. ამ მხრივ, ისრაელი ნამდვილად წარმოადგენს იმ დემოკრატიული სახელმწიფოს, სადაც ორგანიზაციებს (სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩათვლით) ვალდებულება აქვთ, რომ უცხოური შემოსავლების, მიზნობრიობის და მათი მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერილობის შესახებ სახელმწიფოს ინფორმაცია მიაწოდონ (The Association for Civil Rights in Israel 2016). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის დემოკრატიული გარემოსთვის მისი საზიანო ეფექტის გამო, ,,არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიღებას მნიშვნელოვან ოპონირებას უწევდნენ ისრაელის ოპოზიციური პარტიები (The Knesset 2016). ასევე, კანონი ნეგატიურად შეფასდა უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან, რომლებმაც ის დემოკრატიული სფეროს შეზღუდვისკენ გადადგმულ ნაბიჯად

მიიჩნიეს (United Nations Human Rights Office of the High Commissioner 2016, International Federation for Human Rights 2016). ამავდროულად, სიზუსტისთვის, შეიძლება გამოიყოს ისრაელის შემთხვევასა და საქართველოს შორის ფუნდამენტური განსხვავებაც. ისტორიული გამოცდილებისა და მეზობელ სახელმწიფოებთან რთული ურთიერთობის გამო, ისრაელის სახელმწიფოში ზოგადად აპრობირებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები. საქართველოს შემთხვევაში კი, რუსეთისგან მომდინარე მუდმივი საფრთხის მიუხედავად, თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაზისო პირობებიც შესაბამისი წრეების მხრიდან კრიტიკის საგანია (Mtavari Arkhi 2022). შესაბამისად, ისრაელის გამოცდილება, რომელსაც შეუძლია ფუნდამენტური თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმებიდან გამომდინარე ახსნას, საქართველოსთვის სრულიად არარელევანტურია.

მეორე ქვეყანა, რომელიც ასევე პრო-სამთავრობო მედიების საშუალებით საუკეთესო მაგალითად იქნა მოყვანილი, ავსტრალიაა (Imedinews.ge 2023ბ). ავსტრალიაში უცხოეთიდან მიღებული შემოსავლის გამჭვირვალობა რეგულირდება ,,2018:უცხოური გავლენის გამჭვირვალობის აქტით“ (Australian Government 2018) თუმცა, აღნიშნული აქტიც არ ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს. კერძოდ, ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის აქტის“ მიხედვით, პიროვნების ან ორგანიზაციის რეგისტრაციისთვის, მთავარი კრიტერიუმია უცხოური სუბიექტის ინტერესის მიხედვით მოქმედება. ამ კრიტერიუმის განმარტებით კი, ეს რეგულაცია მიემართება ლობისტურ და საკონსულტაციო საქმიანობას (Australian Government 2018), ისევე როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში. უფრო მეტიც, არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის აქტი გამონაკლისს უშვებს - უცხოური დაფინანსების შემთხვევაშიც კი, რეგისტრაციის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც ,,საქველმოქმედო ორგანიზაციათა აქტით“ განსაზღვრულ მიზნებს შეესაბამება (Australian Government 2018). ,,საქველმოქმედო ორგანიზაციათა აქტით“ კი, ასეთებად მიჩნეულია ის ორგანიზაციები, რომლებიც არამარტო ხელს უწყობენ განათლებას, ადამიანის უფლებებს, სოციალურ და საჯარო კეთილდღეობას, რელიგიას, კულტურას, უსაფრთხოებას და ა.შ. არამედ ეწინააღმდეგებიან კიდეც იმ საკანონმდებლო თუ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც, შესაძლოა, შესაბამისობაში არ მოდიოდეს ავსტრალიის მოქალაქეთა ინტერესებთან (Australian Government 2013).

აღნიშნული შემთხვევების განხილვის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ ხალხის ხმის მიერ ინიციირებული კანონპროექტის მხარდამჭერების მხრიდან დასავლურ პრაქტიკაზე

აპელირება მხოლოდ პროპაგანდის ნაწილია, რათა მმართველმა ელიტამ კანონპროექტისთვის შესაბამისი საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია მოიპოვოს.

ქართული ოცნების Grand Finale - რატომ ახლა და რატომ არასამთავრობო ორგანიზაციები?

ქართული ოცნება, ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ორი ვადის განმავლობაში, შიდა აქტორების გარკვეული ნაწილისა და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე შედარებით კონსტრუქციულ მოთამაშედ პოზიციონირებდა. ამ ხნის მანძილზე, მმართველი პარტია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი რეფორმებისთვის მინიმუმ ფორმალურად მაინც ტოვებდა ღია სივრცეს, ხოლო ნეგატიურ პოლიტიკურ კამპანიას თუ პოლიტიკური ძალაუფლების უხეშ დემონსტრირებას მთავარი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის და მასთან ალიანსში მყოფი პატარა ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ იყენებდა. ამ სტრატეგიით, ქართულმა ოცნებამ ოპოზიციისგან მოასუფთავა პოლიტიკური ველი და არაკონკურენტულ გარემოში შეძლო, ისე გაემყარებინა პოზიციები, რომ ხელისუფლებაში ყოფნის მეორე ვადის ბოლოს ქვეყანაში სააშკარაოზე გამოვიდა სახელმწიფოს მიტაცების მანამდე შედარებით იგნორირებული ნიშნები. საპარლამენტო არჩევნებში მესამედ გამარჯვების შემდეგ კი, მმართველმა პარტიამ ნათელი მოჰფინა მათი მმართველობის რეალურ, არადემოკრატიულ მოდელს და შესაბამისად, მათმა მოქმედებამ და რიტორიკამ მნიშვნელოვანი რეგრესი განიცადა: უარი თქვა კონკრეტული ვალდებულებებით გათვალისწინებული რეფორმების შესრულებაზე და პარალელურად გააძლიერა კონფრონტაციული რიტორიკა საქართველოს საერთაშორისო სტრატეგიული პარტნიორების მიმართ.

თუმცა, დრამატული ცვლილება *ქართული ოცნების* მმართველობის მოდელში, ცალსახად რუსეთის უკრაინაში შეჭრას უკავშირდება, რომელიც ქართულ ოცნებას საშუალებას აძლევს, ქვეყნის მოქალაქეების რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობებზე მოახდინოს კაპიტალიზაცია და საკუთარი თავის მშვიდობის გარანტორად პოზიციონირებით რეგიონში მიმდინარე ომი ძალაუფლების შესანარჩუნებლად და ავტორიტარიზმის განსამტკიცებლად გამოიყენოს. ამ ეტაპზე, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ადამიანებს აქვთ ომის შიში, მათთვის სტაბილურობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია და მოსახლეობის ნაწილი მზადაა ამ ეტაპზე ხელისუფლების მიმართ ნაკლებად კრიტიკული იყოს (NDI 2022). შესაბამისად, კონსოლიდირებული ავტორიტარიზმის საბოლოო

გაფორმებისთვის, სამოქალაქო ორგანიზაციათა განეიტრალება მმართველი პარტიის კარგად გააზრებული სვლაა ამ ეტაპზე, რადგან სახელმწიფოს მიტაცების პირობებში მოშლილი საპარლამენტო და სასამართლო საზედამხედველო მექანიზმებისა და მარგინალიზებული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ფონზე, მხოლოდ სამოქალაქო სექტორია ხელისუფლების ერთადერთ ეფექტიან მაკონტროლებელ ძალად დარჩენილი.

შესაბამისად, დემოკრატიის თვალსაჩინო უკუსვლასთან ერთად, ეტაპობრივად მოიმატა ხელისუფლების და მისი პროპაგანდისტული ტელეარხების მხრიდან ღია თავდასხმამ გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ (იმედის კვირა 2022) და ამ ორგანიზაციათა მმართველი პარტიისთვის მისაღებ და მიუღებელ კატეგორიებად დახარისხებამ (1tv.ge. 2023გ). მეორეს მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ხელისუფლების დემონსტრირებული რადიკალიზმის მიზეზი, შესაძლოა, სამოქალაქო სექტორის მიერ შეთავაზებულ ,,ტექნოკრატიული მთავრობის“ იდეას უკავშირდება (Netgazeti.ge 2023g), სადაც მმართველმა ძალამ ახალი პოლიტიკური ლიდერების გამოჩენის პერსპექტივა დაინახა (Rustavi2.ge 2023), რომლებსაც შეეძლოთ, უკვე ფაქტობრივად დაცლილი პოლიტიკური ველის შევსება 2024 წლის არჩევნებისთვის. აქედან გამომდინარე, *ქართული ოცნების* გავლენიან არასამთავრობოთა დისკრედიტაციისთვის მიმართული მცდელობები უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გააძლიერა მმართველი პარტიის სატელიტმა პოლიტიკურმა მოძრაობამ, *ხალხის ძალამ*, რომელიც მმართველ პარტიას იმ მიზეზით გამოეყო, რომ ხალხისთვის სიმართლე პარტია *ქართული ოცნების* დაზიანების გარეშე მიეწოდებინა (Tabula.ge 2022გ). *ხალხის ძალა* პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მკვეთრად პოპულისტური, კონსპირაციული და ანტიდასავლური გზავნილებით გამოირჩეოდა (კაკაჩია და სამხარაძე 2023); სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციისკენ მიმართულ მკაფიო გზავნილებს შეიცავდა ასევე მათ მიერ გამოქვეყნებული პირველივე წერილები. კერძოდ, წერილებში აქცენტი კეთდებოდა სამოქალაქო ორგანიზაციათა უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების არაეროვნულ მოტივებზე და ,,ამერიკის აგენტურად“ იყო გამოცხადებული არასამთავრობო სექტორის მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი ნაწილი (Rustavi2.ge 2022).

არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, *ქართული ოცნების* მიზანს სამოქალაქო სექტორისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენება წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, მას საშუალებას მისცემს, ქვეყანა დასავლურ დემოკრატიულ სტანდარტს საბოლოოდ ჩამოაშოროს. სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის რეპუტაციული ზიანის მიზნობრიობაზე მეტყველებს *ხალხის ხმის* გადაწყვეტილება, პარლამენტში ინიციირებული კანონპროექტი

ტერმინოლოგიურად აეგოთ აშშ-ის კანონ FARA-ზე, რომელიც ერთადერთი კანონია დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც ტერმინი ,,უცხოური აგენტი“ არსებობს და ის დაუზუსტებელი ტერმინოლოგიის გამო არაპირდაპირად ეხება რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. მართალია, *ქართული ოცნების* წარმომადგენლებიც აღიარებენ, რომ კანონპროექტით განსაზღვრული ტერმინი ,,აგენტი“ არ ნიშნავს სადაზვერვო საქმიანობით დაკავებულ პირს (რადიო თავისუფლება 2023), თუმცა, თავად ამ ტერმინის მრავალმხრივი კონოტაციის გამო, მარტივია არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დამაზიანებელი სტიგმის მინიჭება, მით უფრო ისეთ პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში, როგორიც საქართველოშია. რეპუტაციული ზიანით გაცილებით მარტივია, ერთი მხრივ, პოტენციურ პოლიტიკურ ლიდერებს მოქალაქეთა მხარდაჭერის შესაძლებლობა შეუმცირდეს, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი აზრი საკმარისად მოდუნდეს იმ შემთხვევისთვის, თუ მმართველი პარტია სამომავლოდ კრიტიკული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მეტად მკაცრი რეპრესიული ზომების გატარებას გადაწყვეტს, ამან მოქალაქეთა პროტესტი არ გამოიწვიოს. ეს კი ძალიან ჰგავს ავტორიტარული რუსეთის და ბელორუსის მთავრობების მიდგომას, რომლებმაც სწორედ აშშ-ის აღნიშნული კანონის ლოკალური ინტერპრეტაციების საფუძველზე შეუტიეს თავისუფალი სიტყვის ბოლო ბასტიონებს.

დასკვნა

შეჯამებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ მხარდამჭერთა საუკეთესო დასავლურ პრაქტიკაზე აპელირება ფუნდამენტურად არასწორია არსებული ფაქტობრივი და კონტექსტური განსხვავებების გამო. აშშ-ის კანონი, რომელზეც კანონპროექტი ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ არის მორგებული, მიზნობრივად არ მიემართება არასამთავრობო ორგანიზაციებს და ის ძირითადად ფარავს ლობისტურ და საკონსულტაციო საქმიანობას, მაშინ როდესაც *ხალხის ძალის* მიერ ინიციირებული კანონპროექტის ობიექტი სწორედ არასამთავრობო სექტორია. ლობისტურ/საკონსულტაციო საქმიანობასა და არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობას შორის პრინციპული განსხვავებაა, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგი კერძო ინტერესების მქონე სუბიექტებისთვის ექსკლუზიურ სარგებელს გამორიცხავს. ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, საქართველოში ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ინიციირების მოტივიც არ შეესაბამება ეროვნული უსაფრთხოების მიზნებს: ის არა თუ არათუ ხელს უწყობს ქვეყნის

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, არამედ მიმართულია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისა და იმ ადგილობრივი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ქვეყნის მთავარ ეროვნულ ინტერესს, ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, ხელს უწყობენ.

ამავდროულად, ,,საუკეთესო დასავლური პრაქტიკა", რაზეც მმართველი პარტია და პრო-სამთავრობო მედია უსვამს ხაზს, ფუნდამენტურად განსხვავდება საქართველოში ინიციირებული კანონპროექტის მიზნებისგან. რამდენადაც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის არსებული რეგულაციები სამოქალაქო სივრცეს ზღუდავს, ევროკავშირი ამგვარ სამართლებრივ პრაქტიკას არ ცნობს. შესაბამისად, ევროკავშირსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ კონსოლიდირებულ დემოკრატიებში უცხოური დაფინანსების რეგულირება უკავშირდება მხოლოდ ლობისტურ/საკონსულტაციო საქმიანობას, პოლიტიკურ სუბიექტებს ან რელიგიურ ორგანიზაციებს (რაც რელიგიური ექსტრემიზმის პრევენციის ღონისძიებაა). უნგრეთის გამოცდილება კი, იქ არსებული დემოკრატიული მმართველობის დეფიციტის გამო, საუკეთესო მაგალითი არ შეიძლება იყოს საქართველოსთვის. ამავდროულად, საქართველოს ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი ისრაელში აპრობირებულ თავდაცვისა და უსაფრთხოების ნორმების განვითარებამდე. შესაბამისად, მაშინ როდესაც ქვეყანა ამ მხრივ ხშირად ბაზისურ საჭიროებებსაც ვერ აკმაყოფილებს, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა არასამთავრობო ორგანიზაციათა უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების რეგულირებით არარელევანტური და არადამაჯერებელია.

აქედან გამომდინარე, ყველა წინაპირობა მიუთითებს იმაზე, რომ კანონპროექტი ,,უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ", მისი მიღების შემთხვევაში, ხელისუფლებას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს კრიტიკულად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციათა რეპუტაციის დასაზიანებლად. კონსოლიდირებული ავტოკრატიისკენ მიმავალ გზაზე კი, მთავრობის საქმიანობის მაკონტროლებელი უკანასკნელი მექანიზმის გაუვნებლება მნიშვნელოვანი ფსონია *ქართული ოცნებისთვის.* არასამთავრობო ორგანიზაციათა რეპუტაციის დაზიანების მეშვეობით, ერთი მხრივ, ქვეყანაში მოიშლება ფაქტობრივად უკანასკნელი საზედამხედველო დემოკრატიული მექანიზმი, მეორე მხრივ, ეს უზრუნველყოფს გარანტირებულად უკონკურენტო პოლიტიკურ გარემოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. მმართველი პარტიის ამ მიზნის ასრულება კი, დიდი ხნით

დაასამარებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და მის დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1TV.ge.2023ა. მამუკა მდინარაძე - „ქართული ოცნების“ სახელით შემიძლია, ვთქვა, რომ პრინციპების დონეზე შევთანხმდით და მხარს დავუჭერთ „ხალხის ძალის“ მიერ წარდგენილ კანონპროექტს. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/mamuka-mdinaradze-qartuli-ocnebis-sakhelit-shemidzlia-vtqva-rom-principebis-doneze-shevtankhmdit-da-mkhars-davuchert-khalkhis-dzalis-mier-wardgenil-kanonproeqts/ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

1TV.ge 2023ბ. ანრი ოხანაშვილი - „ხალხის ძალის“ კანონპროექტი ხალხს არ აქვს წაკითხული, არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტსაც არ ჰქონდეს სრული ინფორმაცია და ამის მიუხედავად, აკეთებენ ცილისმწამებლურ განცხადებებს. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/anri-okhanashvili-khalkhis-dzalis-kanonproeqti-khalkhs-ar-aqvs-wakitkhuli-ar-gamovrickhav-prezidentsac-ar-hqondes-sruli-informacia-da-amis-miukhedavad-aketeben-cilismwameblur-ga/ ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

1TV.ge. 2023გ. შალვა პაპუაშვილი - „ისფედმა“ უნდა უპასუხოს საზოგადოებას, ხსნიან თუ არა ულტიმატუმს, რომ ჰქონდეთ გადამწყვეტი ხმა მთავრობის დაკომპლექტებაში, თუ ხსნიან, შეუძლიათ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/shalva-papuashvili-isfedma-unda-tqvas-kvlav-ayeneben-ultimatums-rom-daakompleqton-e-w-teqnikuri-mtavroba-da-hqondet-gadamwyveti-khma-tu-khsnian-motkhovnas-tu-khsnian-sheudzli/ ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

AdjaraTV.ge. 2022. მოძრაობა "ხალხის ძალა" მორიგ განცხადებას ავრცელებს. ხელმისაწვდომია: https://ajaratv.ge/article/101968 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Australian Government. 2013. Charities Act. ხელმისაწვდომია: https://www.legislation.gov.au/Details/C2013A00100 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Australian Government. 2018. Foreign Influence Transparency Scheme. ხელმისაწვდომია: jpeg.ly/pzPm ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Civil.ge. 2023ბ. საქართველოზე PACE-ის მომხსენებლები მოუწოდებენ პარტიებს არ მიიღონ „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ კანონპროექტი. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/525938 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Civil.ge.2023ა. „ხალხის ძალამ“ უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტი შეიმუშავა. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/525530. ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Congressional Research Service. 2017. The Foreign Agents Registration Act (FARA): A Legal Overview. ხელმისაწვდომია: https://sgp.fas.org/crs/misc/R45037.pdf ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Court of Justice of the European Union. 2020. JUDGMENT OF THE COURT (Grand Chamber). ხელმისაწვდომია: https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf;jsessionid=D35A8F3E07CD5EFB84FC581996B1C74A?text=&docid=227569&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=17009336 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

DemoracyResearch.org. 2022. კონსერვატიული მოძრაობის“ შესაძლო რუსული კავშირები და მისი დაფინანსების გზები. ხელმისაწვდომია:https://www.democracyresearch.org/geo/945/?fbclid=IwAR1dfP6KJjCnqsxPEHADo3sPSgWZQAEkexWBbfFjmkvPlwh2UuutJS2E0Qo ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Estonian Foreign Intelligence Service. 2020. NTERNATIONAL SECURITY AND ESTONIA. ხელმისაწვდომია: https://www.valisluureamet.ee/doc/raport/2020-en.pdf?fbclid=IwAR0NEqe3pdB7TicknLdCA1SmKb09gBMXbhsJ4KGGtMuk0mzQRFxQN0jUPS4 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

European Commission. 2017. Infringements -European Commission refers Hungary to the Court of Justice for its NGO Law. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/ES/IP_17_5003 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

European Parliament. 2022. MEPs: Hungary can no longer be considered a full democracy. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20220909IPR40137/meps-hungary-can-no-longer-be-considered-a-full-democracy ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

European Parliament. 2023. Legal loopholes and the risk of foreign interference. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2023/702575/EXPO_IDA(2023)702575_EN.pdf ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Federal Register. 2023. Foreign Agents Registration Act. ხელმისაწვდომია: https://www.federalregister.gov/documents/2003/06/05/03-13947/foreign-agents-registration-act ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Freedom House. 2021. Hungary. ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/country/hungary/freedom-world/2022#CL ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

GIP.2023. ექსპერტთა შეფასება: რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონის მიღებას საქართველოს ევროინტეგრაციულ მომავალზე? ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/eqspertta-shefaseba-kanoni-ucxouri-agentebis-shesaxeb/?fbclid=IwAR0Bx3Ns1xR0uL6wisxJBz-pHmePPvdRR8OUhyYWyMTGpvw9vbGh_B73laE ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

House of Representatives. 1937. Foreign Propaganda. Report No. 1381. ხელმისაწვდომია: https://www.fara.us/assets/htmldocuments/uploads/24384_h._rep._no._75-1381_1937.pdf ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Imedinews.ge. 2023ა. დავით ქართველიშვილი: ქართული კანონპროექტი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ ამერიკულიდან პირდაპირ თარგმანს არ წარმოადგენს, ის დასავლეთისა და ისრაელის კანონმდებლობის ნაზავია და ქართულ რეალობას არის მორგებული. ხელმისაწვდომია: jpeg.ly/RsUZ ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Imedinews.ge. 2023ბ. თამთა მეგრელიშვილი: სანამ „ხალხის ძალას“ სამართლებრივ დუელში გამოგვიწვევთ, დახედეთ თეთრ ხელთათმანს - დასვრილი ხომ არ არის?! ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/politika/281147/tamta-megrelishvili-sanam-khalkhis-dzalas-samartlebriv-duelshi-gamogvitsvevt-dakhedet-tetr-kheltatmans--dasvrili-khom-ar-aris ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

International Federation for Human Rights. 2016. Israel-Occupied Palestinian Territory: Continued hostility towards human rights organisations. ხელმისაწვდომია: https://www.fidh.org/en/issues/human-rights-defenders/israel-occupied-palestinian-territory-continued-hostility-towards ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Jam-news.net. 2023ა. "რუსული კანონის მსგავსია" - ამერიკელი სენატორების ვიზიტი საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ge/rusuli-kanonis-msgavsia-amerikeli-senatorebis-viziti-saqartveloshi-mtavari/ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Jam-news.net. 2023ბ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა: სხვა ფრაქციებს მოგიწოდებთ, ხალხის ძალის კანონპროექტს მხარი არ დაუჭიროთ. ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ge/evrosabchos-saparlamento-asamblea-uckhour-agentebze/ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Justice.gov.2023ა. Recent Cases. ხელმისაწვდომია: https://www.justice.gov/nsd-fara/recent-cases ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Justice.gov.2023ბ.Frequently asked questions. https://www.justice.gov/nsd-fara/frequently-asked-questions#21 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Laufer, Samantha. 2017. A DIFFERENCE IN APPROACH: COMPARING THE US FOREIGN AGENTS REGISTRATION ACT WITH OTHER LAWS TARGETING INTERNATIONALLY FUNDED CIVIL SOCIETY. International Journal of Not-for-Profit Law / vol. 19, no. 1, April 2017 / 5. ხელმისაწვდომია: https://www.icnl.org/wp-content/uploads/Samantha-Laufer.pdf ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Mtavari Arkhi 2022. სამოქალაქო თავდაცვა ისევ დღის წესრიგში დადგა, როგორ უნდა მოიქცეს მოსახლეობა ომის დროს. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=J5gm6k3cxuw ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

NDI. 2022.საზოგადოების განწყობა საქართველოში 2022 წლის დეკემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202022%20poll_public%20version_Geo_final_0.pdf. ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Netgazeti.ge. 2023g. ეროვნული თანხმობის ტექნიკური მთავრობა — რას ნიშნავს ეს? ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/618103/ ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Netgazeti.ge. 2023ა. „ვიმსჯელებთ“ – კობახიძე NGO-ების დაფინანსების რეგულირებაზე. ხელმისაწვდომია:https://netgazeti.ge/news/641781/ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Netgazeti.ge. 2023ბ. “ალტ-ინფოს” “უცხოური გავლენის აგენტად” რეგისტრაცია არ მოუწევს – დამფუძნებელი. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/655857/ ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

On.ge.2023. დემოკრატიის ინდექსი პარლამენტს მოუწოდებს, არ განიხილოს "უცხოური გავლენის აგენტებზე" კანონპროექტი. ხელმისაწვდომია: tinyurl.com/6n4vpvfh ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Peace Research Institute Frankfurt. 2019. Legal Foreign Funding Restrictions on Civil Society Organizations (CSOs) Worldwide, Updated version of the additional online resource for Wolff, Jonas/Poppe, Annika Elena 2015: From Closing Space to Contested Spaces: Re-assessing current conflicts over international civil society support, PRIF Report No. 137. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/1QuWt8p ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Publika.ge. 2023ბ. გაიწერება უცხოური გავლენის აგენტის ცნება – „ხალხის ძალა“ კანონპროექტზე მუშაობას ასრულებს. ხელმისაწვდომია:https://publika.ge/gaiwereba-uckhouri-gavlenis-agentis-cneba-khalkhis-dzala-kanonproeqtze-mushaobas-asrulebs/ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Publika.ge.2023. ამგვარი კანონპროექტი ევროკავშირის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალთან შეუსაბამოდაა მიჩნეული - ომბუდსმენის აპარატი. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/amgvari-kanonproeqti-evrokavis-fundamentur-principebtan-da-samartaltan-sheusabamodaa-michneuli-ombudsmenis-aparati/ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Rustavi2.ge.2022."ოცნებიდან" წასული ოთხეულის მორიგი წერილი - ადრესატები, ამჯერად, საქართველოში ამერიკის აგენტები არიან. ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/237508 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Rustavi2.ge. 2023. შალვა პაპუაშილის თქმით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ "ისფედთან" დაკავშირებით არაჯანსაღი სოლიდარობა დააფიქსირა, რომელიც სხვა არაფერია თუ არა კორპორატივიზმი. ხელმისაწვდომია: https://rustavi2.ge/ka/news/236309. ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Tabula.ge. 2022გ. ყაველაშვილი: ამ სახით შეგვიძლია მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ხალხს და არ დავაზიანოთ ოცნება. ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/688412-qavelashvili-am-sakhit-shegvidzlia-meti ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Tabula.ge.2023ა. ეფუძნება რუსულ და უნგრულ კანონმდებლობას – სახ. დეპი დეპუტატების ინიციატივაზე. ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/697263-epudzneba-rusul-ungrul-kanonmdeblobas-sakh-depiბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Tabula.ge.2023ბ. ხალხის ძალა: ინიცირებას ვუკეთებთ ალტერნატიულ კანონპროექტს, რომელიც ამერიკულის ანალოგია.ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/697539-khalkhis-dzala-initsirebas-vuketebt-alternatiulბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

The Association for Civil Rights in Israel. 2016. Law Requiring Disclosure by NGOs Supported by Foreign Governmental Entities (Amended) – 2016. ხელმისაწვდომია: https://law.acri.org.il/en/wp-content/uploads/2016/07/Summary-of-NGO-Law.pdf ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

The Knesset. 2016. Knesset passes NGO transparency law. ხელმისაწვდომია: https://m.knesset.gov.il/en/news/pressreleases/pages/pr12164_pg.aspx#:~:text=In%20its%20explanatory%20preface%2C%20the.public.%E2%80%9D%20During%20the%20debate%2C ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

United Nations Human Rights Office of the High Commissioner. 2016. Israel: UN experts urge Knesset not to adopt pending legislation that could target critical NGOs. ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/en/press-releases/2016/06/israel-un-experts-urge-knesset-not-adopt-pending-legislation-could-target ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

Wanko, Brian. 2019. The Foreign Agents Registration Act's NGO Impact. ხელმისაწვდომია: jpeg.ly/SjeG ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

იმედის კვირა. 2022. რადიკალების მესამე სექტორი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=761226568314899 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

კაკაჩია კორნელი, სამხარაძე ნინო, 2022. „როქი მარჯვნივ: "ხალხის ძალა", როგორც ქართული პოლიტიკის ახალი ანტიდასავლური საყრდენი," პოლიტიკის მემორანდუმი #63, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი.

რადიო თავისუფლება. 2022. ენჯეოების დაფინანსება მკაცრ საკანონმდებლო ჩარჩოებში უნდა მოექცეს, კანონს ჩვენ მოვამზადებთ - "ხალხის ძალა". ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32136340.html ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

რადიო თავისუფლება. 2023. კობახიძე: აგენტი ნიშნავს, რომ ვიღაცის ინტერესის გამტარებელი ხარ და არა ჯაშუში.ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32273246.html ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება. 2023. რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი. ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/rusuli-kanoni-ar-aris-sakartvelos-archevani ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 1995. საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23;

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2018. ხელმისაწვდომია: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4234420?publication=0 ბოლოჯერ ნანახია: 22.02.23.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

თეონა ზურაბაშვილი, „ქართული ოცნების Grand Finale - წინ კონსოლიდირებული ავტორიტარიზმისკენ,“ პოლიტიკის მემორანდუმი #66, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge